3857

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ორშაბათი
29 აპრილი
1940 წ.
№ 99 (5800)
ფასი 10 კაპ.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის დიადი პროგრამა

საკავშირო მთავრობა, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი, პირადად დიდი **სტალინი**, უდიდეს მზრუნველობას იჩენენ მთელი საბჭოთა კავშირის, კერძოდ საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებისადმი. ამ მზრუნველობის შედეგია საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის 31 ოქტომბრის ისტორიული დადგენილება ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების მუშაობის შესახებ, „საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე ციტრუსოვანი კულტურების ფართობის გადიდების ხუთწლიანი გეგმის შესახებ (1936-1940 წლები)“ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1935 წლის 5 ნოემბრის დადგენილება და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1936 წლის 28 ივლისის დადგენილება საქართველოს სს რესპუბლიკაში მევენახეობისა და ხარისხოვანი მეღვინეობის განვითარების შესახებ.

ამ დღეებში პრესაში გამოქვეყნდა სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის 25 აპრილის დადგენილება „საქართველოს სს რესპუბლიკაში ჩაის მეურნეობის, ციტრუსოვანი კულტურების, მევენახეობისა და ხარისხოვანი მეღვინეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“, რომელშიაც მოცემულია გრანდიოზული პროგრამა სუბტროპიკულ, ტექნიკურ და სპეციალურ კულტურათა შემდგომი ყოველმხრივი განვითარებისათვის. ეს დადგენილება მოწმობს იმას, თუ რა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს და დახმარებას უწევს ამხანაგი **სტალინი** საქართველოს ბოლშევიკებს სოფლის მეურნეობაზე ხელმძღვანელობის საქმეში. პარტიის ცენტრალური კომიტეტის და საკავშირო მთავრობის ეს უმნიშვნელოვანესი დადგენილება ახალ ბრწყინვალე ფურცელს შლის საბჭოთა ჩაის, ციტრუსების, ვენახის კულტურათა და ხარისხოვანი მეღვინეობის განვითარების ისტორიაში.

მზიურმა საქართველომ უკანასკნელი წლების განმავლობაში დიდი **სტალინის** საუკეთესო მოწაფის, ქართველი ხალხის საამაყო შვილის ამხანაგ **ლ. პ. ბერიას** უშუალო ხელმძღვანელობით შესანიშნავ წარმატებებს მიაღწია სოფლის მეურნეობის დარგში, განსაკუთრებით კი ჩაის მეურნეობის, ციტრუსოვანი კულტურების, მევენახეობისა და ხარისხოვანი მეღვინეობის განვითარებაში. ერთგულმა სტალინელმა ამხანაგმა ლ. პ. ბერიამ საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებში დანერგა სტალინური მუშაობის სტილი. 8 წლის მანძილზე, რამაც განვლო ამიერ-კავკასიის პარტიული ორგანიზაციების მუშაობის შესახებ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის 31 ოქტომბრის დადგენილების დღიდან, სუბტროპიკული კულტურების ფართობი გაიზარდა 90 ათას ჰექტარამდე, ნაცვლად 1931 წელს არსებული 18 ათასი ჰექტარისა. საქართველოში შექმნილია ჩაის მეურნეობისა და მრეწველობის მტკიცე ბაზა. ჩაის ფართობი 16.171 ჰექტარიდან აყვანილია 47.144 ჰექტარამდე. 1939 წელს სახელმწიფოს ჩაბარდა 44.000 ტონაზე მეტი ჩაის მწვანე ფოთოლი, 1931 წელს ჩაბარებული 1.200 ტონის ნაცვლად. 1940 წლის 1 იანვრისათვის ციტრუსების ფართობი აყვანილია 17.122 ჰექტარამდე. ვენახების ფართობმა 1940 წლის 1 იანვრისათვის 48.331 ჰექტარს მიაღწია. ჩაის ხავერდოვანი პლანტაციები, ციტრუსოვანთა თვალწარმტაცი ბაღნარები გადაიქცნენ კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შეძლებულობის დაუშრეტელ წყაროდ.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის 25 აპრილის დადგენილება დიდ პასუხსაგებ ამოცანას აყენებს საქართველოს ბოლშევიკების, კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშების წინაშე. ეს დადგენილება საქართველოს სს რესპუბლიკაში 1944 წლის დამლევისათვის ითვალისწინებს ციტრუსოვანი კულტურების ფართობის გადიდებას 40 ათას ჰექტარამდე. 1944 წელს უნდა მიღებულ იქნას 3-3,5 მილიარდი ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფი, აქედან ლიმონი 600 მილიონ ცალამდე. სრული მსხმოიარე ასაკის 40 ათასი ჰექტარი ციტრუსოვანი ნარგავებიდან უნდა უზრუნველყოფილ იქნას არანაკლებ 14-15 მილიარდი ციტრუსოვანი ნაყოფის საერთო მოსავალი.

ჩაის პლანტაციების ფართობი 1944 წლის დამლევისათვის დიდდება 60 ათას ჰექტარამდე. ამავე წელს საქართველოში უნდა მოკრეფილ იქნას 90 ათასი ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი.

ვენახების ფართობი 1944 წლის დამლევისათვის დიდდება 80 ათას ჰექტარამდე. ამავე წლის ბოლოსათვის ერთი ჰექტარი სრულმოსავლიანი ვენახის მოსავლიანობა უნდა აყვანილ იქნას სულ ცოტა 65 ცენტნერამდე.

1940-1944 წლების განმავლობაში უნდა გაშენდეს 13 მილიონი კეთილშობილი დაფნის ახალი ნარგავი, იმ ანგარიშით, რომ 1944 წლის დამლევისათვის ნარგავთა რაოდენობამ მიაღწიოს 20 მილიონ ძირს. 1944 წლის დამლევისათვის ევკალიპტის ნარგავთა—რაოდენობა აყვანილი იქნება 50 მილიონ ხემდე, 1940 წ. 1 იანვრისათვის არსებულ 9,1 მილიონის ნაცვლად. ხოლო ბამბუკისა — 5 ათას ჰექტარამდე, ნაცვლად 650 ჰექტარისა.

დადგენილებაში მოცემულია სერიოზული დავალება ჩაის, ნაყოფის გადამამუშავებელი (ციტრუსების) და მეღვინეობის მრეწველობის განვითარების დარგში.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში დასახული დიადი პროგრამა განმტკიცებულია ღონისძიებათა სისტემით აგროტექნიკის, მექანიზაციის, წყალთა მეურნეობის, გადასახლება-დასახლების დარგში. აგროტექნიკისა და მექანიზაციის დარგში გათვალისწინებულ ღონისძიებათა სიზუსტით განხორციელება უზრუნველჰყოფს სუბტროპიკულ და სპეციალურ კულტურათა მაღალი მოსავლიანობის მიღებას და კოლმეურნეთა შრომის შემსუბუქებას. სერიოზული ღონისძიებანია დასახული წყალთა მეურნეობის დარგში. სახელმწიფო კოლმეურნეობებს დიდ ფინანსიურ დახმარებას უწევს. წყალთა მეურნეობის მშენებლობის ხარჯების საერთო მოცულობა 1940-1944 წლების პერიოდისათვის (კოლხიდის ამოშრობის სამუშაოთა ღირებულების გამოკლებით) დამტკიცებულია 86,6 მილიონი მანეთის რაოდენობით. აქედან ნახევარზე მეტი გაღებული იქნება სსრ კავშირის ბიუჯეტიდან. ფრიად მნიშვნელოვანი ღონისძიებანია დასახული ახლად ასათვისებელ მიწებზე — კოლხიდასა და აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში დასახლების ორგანიზაციისათვის. ახლად დასახლებულ მეურნეობათა მოსაწყობად გამოყოფილია ფულადი საშუალებანი და საჭირო სამშენებლო მასალები.

საქართველოს ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების და სამიწათმოქმედო ორგანოების ვალია განიხილონ და გააცნონ ეს სტალინური გადაწყვეტილება საკოლმეურნეო სოფლის ფართო მასებს, დარაზმონ ისინი დასახული საბრძოლო პროგრამის ურყევად შესრულებისათვის. სოფლის კომუნისტებმა მთელი მუშაობა უნდა წარმართონ ამ უმნიშვნელოვანესი დადგენილების ღრმად შესწავლისა და მისი ბოლშევიკურად განხორციელებისათვის.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის 25 აპრილის დადგენილება საქართველოს მშრომელთა შორის გამოიწვევს უდიდეს სიხარულს და აღფრთოვანებას მათ ახალ-ახალი შრომითი მამაცობისათვის. ეჭვი არ არის, რომ საქართველოს მშრომელნი კონკრეტული საქმეებით უპასუხებენ პარტიისა და მთავრობის მზრუნველობას საქართველოს სოფლის მეურნეობის აყვავებისათვის და წარმატებით ჩაატარებენ საგაზაფხულო სამუშაოებს, აგრეთვე ჩაის მწვანე ფოთლის კრეფას, რომელიც უახლოეს დღეებში დაიწყება.

„საქართველოს ბოლშევიკებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის, მათ უნდა მისცენ უფრო მეტი მანდარინი, ფორთოხალი, ლიმონი, მაღალხარისხოვანი ქართული ღვინო და ჩაი საბჭოთა ქვეყნის მშრომელებს, რომელთა კეთილდღეობაზე დაუღალავად ზრუნავს ხალხთა მამა, ჩვენი მშობლიური **სტალინი**“ (კ. ჩარკვიანი). საქართველოს ბოლშევიკები, რომელნიც დიდი **სტალინის** საუკეთესო მოწაფემ ამხანაგმა **ლ. პ. ბერიამ** აღზარდა დიად სტალინურ ტრადიციებზე, წარმატებით განახორციელებენ იმ საბრძოლო ამოცანებს, რომელნიც ჩვენს წინაშე დასახეს სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის სსრ კავშირის სახკომსაბჭომ და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა.

პარტიისა და მთავრობის ისტორიული დადგენილების საპასუხოდ

ბათუმი, 28 აპრილი (საქდესი). საბჭოთა აჭარის მშრომელები უდიდესი სიხარულით შეხვდნენ სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „საქართველოს სს რესპუბლიკაში ჩაის მეურნეობის, ციტრუსების კულტურების, მევენახეობისა და ხარისხოვანი მეღვინეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“. ამ დადგენილების საპასუხოდ ბათუმის რაიონის სოფელ ხელვაჩაურის კოლმეურნეობა „წითელმა ოქტომბერმა“ ვალდებულება იკისრა, რომ წელს პირველ მაისამდე გეგმის გადამეტებით 4,5 ჰექტარ ციტრუსების ახალ პლანტაციას გააშენებს. სოფ. თხილნარის გორკის სახელობის კოლმეურნეობამ, დაამთავრა რა ციტრუსების 16 ჰექტარზე რგვა, იკისრა ვალდებულება, რომ კიდევ 7 ჰექტარს დარგავს. სოფ. გონიოს ანდრეევის სახელობისა და სოფ. სარფის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს, რომ წელს გეგმის გადამეტებით 10 ჰექტარ ციტრუსოვანთა ახალ პლანტაციას გააშენებენ.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ლენინგრადის ბოტანიკური ინსტიტუტისა და შორეულ-აღმოსავლეთის სამთო-სატაიგო სადგურისათვის ამხ. ვ. ლ. კომაროვის სახელის მიკუთვნების შესახებ

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის **ვ. ლ. კომაროვის** დაბადების სამოცდაათი წლისთავის აღსანიშნავად მიეკუთვნოს ამხ. **ვ. ლ. კომაროვის** სახელი:

1. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ლენინგრადის ბოტანიკურ ინსტიტუტს.
2. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის შორეულ-აღმოსავლეთის სამთო-სატაიგო სადგურს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი.
1940 წლის 27 აპრილი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის ცენტრალური ტელეგრაფის იმ მუშაკთა დაჯილდოების შესახებ, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი

ჩინებული მუშაობისა და სატელეგრაფო კავშირით სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის და თავდაცვის საჭიროებათა მომსახურების საქმეში პარტიისა და მთავრობის მთელ რიგ პასუხსაგებ დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის **დაჯილდოებულ იქნან:**

ლენინის ორდენით

1. ანა ანტონის-ასული **ბობილევა** —ცენტრალური ტელეგრაფის საქალაქთაშორისო სამსახურის 1-ლი თანრიგის ბოდისტი.
2. რომან ანატოლის-ძე **პოპოვი** — ცენტრალური ტელეგრაფის დირექტორი.

შრომის წითელი დროშის ორდენით

1. მიხეილ ვასილის-ძე **განიჩევი**— ცენტრალური ტელეგრაფის პარტორგანიზაციის მდივანი.
2. ვალენტინა ილიას-ასული **ზიმინა** — ცენტრალური ტელეგრაფის ტელეგრაფისტ-ბოდისტი.
3. ალექსი სერგის-ძე **კარანდასოვი** — ცენტრალური ტელეგრაფის ცვლის უფროსი.
4. დიმიტრი პეტრეს-ძე **ლეონოვი** — ცენტრალური ტელეგრაფის მე-132 საქალაქო განყოფილების გამგე.
5. ნადეჟდა ვლადიმერის-ასული **ლიჟინა** — ცენტრალური ტელეგრაფის ტელეგრაფისტ-კრიდისტი.
6. ვიქტორ ნიკოლოზის-ძე **ნიკოლაევი** — ცენტრალური ტელეგრაფის საქალაქთაშორისო კავშირგაბმულობის სამსახურის უფროსი.
7. ვასილ პეტრეს-ძე **ხუდოუნიკოვი** — ცენტრალური ტელეგრაფის მთავარი ინჟინრის მოვალეობის აღმსრულებელი.

„საპატიო ნიშნის“ ორდენით

1. ოლღა ანდრიანეს-ასული **აკიფიევა** — ცენტრალური ტელეგრაფის საქალაქო სამსახურის ტელეგრაფისტ-ტრემლისტი.
2. მარიამ პანტელეიმონის-ასული **ესიპჩუკი** — ცენტრალური ტელეგრაფის საქალაქთაშორისო სამსახურის ბრიგადირი.
3. ვერა ალექსის-ასული **ლეონიჩევა** — ცენტრალური ტელეგრაფის საქალაქთაშორისო კავშირგაბმულობის ტელეგრაფისტი.
4. ალექსანდრე ანდრიას-ძე **რედჩენკო** — ცენტრალური ტელეგრაფის სახაზო-საკაბელო ქსელის უფროსი ტექნიკოსი.
5. ვასილ სტეფანეს-ძე **ტუმაკოვი** — ცენტრალური ტელეგრაფის საქალაქო და საოლქო კავშირგაბმულობის ტექნიკური სამსახურის უფროსის მოადგილე.
6. დიმიტრი ნიკოლოზის-ძე **შიბინი** — ცენტრალური ტელეგრაფის რადიოსააპარატოს უფროსი.

მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“

1. ფილიპე დიმიტრის-ძე **კონევი** — ცენტრალური ტელეგრაფის მექანიკოსი.
2. ანა ვასილის-ასული **პროტასოვა** — ცენტრალური ტელეგრაფის ტელეგრაფისტ-ბოდისტი.
3. მარიამ ალექსანდრეს-ასული **რიჟოვა** — ცენტრალური ტელეგრაფის დეპეშების დამტარებელი.
4. კლავდია მიხეილის-ასული **სუზიუმოვა** — ცენტრალური ტელეგრაფის საოლქო სამსახურის ბრიგადირი.
5. ივანე ივანეს-ძე **ტრუხოვი** — ცენტრალური ტელეგრაფის რადიოსააპარატოს ტექნიკოსი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი. 1940 წ. 27 აპრილი.

აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის ნავთის მრეწველობის მუშაკთა, სოფლის მეურნეობის მოწინავეთა და სამურ-დივიჩის არხის მშენებელთა დაჯილდოება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა კაპიტალიზმის უღლისაგან აზერბაიჯანის განთავისუფლებისა და იქ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავის აღსანიშნავად, წარმატებებისათვის ნავთის მრეწველობის განვითარებაში, მიღწევებისათვის სოფლის მეურნეობის აღმავლობის დარგში და სამურ-დივიჩის არხის მშენებლობის სანიმუშოდ შესრულებისათვის საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა 538 კაცი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებული არიან: ალი-ბაირამლის მტს-ის დირექტორი ამხ. აბდულაევი, აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის მიწათმოქმედების სახალხო კომისარი ამხ. ალიევი, კურუზმის მტს-ის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი ამხ. ალიევი, ფრუნზეს სახელობის გოგირდმჟავას ქარხნის № 1 საამქროს უფროსი ამხ. ალიევი, ხოლყარაბუჯაგის მტს-ის ტრაქტორისტი ამხ. ალახვერდიევი, აზერბაიჯანის კ. პ. (ბ) კიროვაბადის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ალახვერდიევი, აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის დაწყებითი და საშუალო სკოლების მუშაკთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ასლანოვა, აზერბაიჯანის კ. პ. (ბ) ხანლარის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ბაბაიანი, „სტალინნეფტის“ ტრესტის ჭაბურღილის უფროსი ამხ. ვანესოვი, „აზნეფტკომბინატის“ მთავარი ინჟინერი და უფროსი მოადგილე ამხ. ვეზიროვი, „ორჯონიკიძენეფტის“ ტრესტის მესამე სარეწაოს გამგე ამხ. გაიბოვა, აზერბაიჯანის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი კადრების დარგში ამხ. გეზალოვი, აზერბაიჯანის კ. პ. (ბ) ლენქორანის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ჯავადოვი, სამურ-დივიჩის არხის მშენებლობის უფროსი ამხ. ეგიაზაროვი, აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე ამხ. ისლამ-ზადე, აზერბაიჯანის კ. პ. (ბ) ნახჭევანის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ისმაილოვი, კუბის რაიონის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ყაზიევი, აზერბაიჯანის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მესამე მდივანი ამხ. კარკარიანი, აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. ყულიევი, აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. კასუმოვი, აზერბაიჯანის კ. პ. (ბ) ბაქოს კომიტეტის მესამე მდივანი ამხ. კაფარზადე, ვართაშენის რაიონის კოლმეურნე ამხ. მამედ-ალიევი, აზერბაიჯანის კ. პ. (ბ) კაგანოვიჩის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. მანიავა, აზერბაიჯანის კ. პ. (ბ) ნუხის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. მახმუდოვი, აზერბაიჯანის კ. პ. (ბ) კუსარის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. მირზახანოვი, „აზნეფტკომბინატის“ მთავარი გეოლოგი ამხ. მელიქ-ფაშაევი, აზერბაიჯანის კ. პ. (ბ) მთიანი ყარაბაღის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. მანუკიანცი, ზარდობის მტს-ის ტრაქტორისტი ამხ. ნაზიევი, კუსარის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი ამხ. ნურახმედოვი, „ორჯონიკიძენეფტის“ ტრესტის მე-6 სარეწაოს გამგე ამხ. პლეშკო, მშრომელთა დეპუტატების მთიანი ყარაბაღის საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. პეტროსიანი, „აზნეფტეკომბინატის“ გეოლოგიური განყოფილების უფროსი ინჟინერი ამხ. რიახინოვა, ევლახის მტს-ის ტრაქტორისტი ამხ. სალიმოვი, „სტალინნეფტის“ ტრესტის მმართველი ამხ. თაიროვი, აზერბაიჯანის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ამხ. ჩეპლაკოვი, აზერბაიჯანის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი პროპაგანდის დარგში ამხ. იაკუბოვი და აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილე სამურ-დივიჩის არხის მშენებლობის უფროსის მოადგილე ამხ. იაქშიანი.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 92 კაცი. მათ შორის — რესპუბლიკის თევზის მრეწველობის სახალხო კომისარი ამხ. აბრამოვი, ტერტერის რაიონის გუსი-ჰაჯიევის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ალიევა, კუსარის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი მხენელის“ წევრი ამხ. ალიმოვი, შამქორის მტს-ის ტრაქტორისტი ამხ. ასკეროვი, აზერბაიჯანის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, წინათ ლენინის ორდენით დაჯილდოებული, ამხ. ბაგიროვი, სამურ-დივიჩის არხის მშენებლობის მთავარი ინჟინერი ამხ. გოვერტი, „სტალინნეფტის“ ჭაბურღილთა კაპიტალური რემონტის კანტორის ბურღვის ოსტატი ამხ. ალიევა, ასტრახან-ბაზარის რაიონის პრიშიბინსკის მტს-ის სატრაქტორო ბრიგადის კომბაინერი და ბრიგადირი ამხ. ჩუმაკოვი, „სიაზანნეფტის“ ტრესტის მმართველი ამხ. ბაგიროვი, „კაგანოვიჩნეფტის“ ტრესტის ბურღვის კანტორის ჭაბურღილის უფროსი ამხ. ვარლამოვა, „ორჯონიკიძენეფტის“ ტრესტის ნავთის ამოღების ოსტატი ამხ. ვეზიროვი, „კაგანოვიჩნეფტის“ ტრესტის ბურღვის კანტორის ტექნიკური განყოფილების უფროსი ინჟინერი ამხ. გულიევი, „აზნეფტეზავოდის“ ტრესტის მმართველი ამხ. გურევიჩევი, „აზნეფტკომბინატის“ უფროსი ამხ. ევსეენკო და სხვ.

„საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოებულია 135 კაცი. მათ შორის — კუტკაშენის მტს-ის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი ამხ. ადილოვი, „კიროვნეფტის“ ტრესტის პირველი სარეწაოს მიწისქვეშა რემონტის ოსტატი ამხ. ჰუსეინოვი, ბაქოს საორთქლმავლო დეპოს უფროსი ამხ. ჯაფაროვი და სხვ.

მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ დაჯილდოებულია 131 კაცი, მედლით **„შრომითი წარჩინებისათვის“** 143 კაცი.

საქდესი.

სამხედრო მოქმედება ნორვეგიაში

გერმანიის ცნობები

ბერლინი, 27 აპრილი (საქდესი). საინფორმაციო ბიურო იუწყება, რომ გერმანიის ნაწილებმა უბრძოლველად დაიკავეს რეროსი.

ბერლინი, 27 აპრილი (საქდესი). გაზეთი „ცველფურბლატი“ იუწყება ინგლის-საფრანგეთის საზღვაო და საჰაერო ფლოტების ზარალის შესახებ, რომელიც მათ მოუვიდათ ნორვეგიაში 17 დღის განმავლობაში (9 აპრილიდან 26 აპრილამდე). გაზეთის ცნობით, სულ განადგურებულია 5 კრეისერი, 7 საესკადრო ნაღმოსანი, 17 წყალქვეშა ნავი; 3 ტრანსპორტი, 4 სავაჭრო გემი, 55 თვითმფრინავი. დაზიანებულია: 7 სახაზო გემი, 1 ავიამზიდი, 9 კრეისერი, 7 საესკადრო ნაღმოსანი, 11 ტრანსპორტი, 1 ტანკერი, 1 სანაღმო ტრალერი; კონფისკებულია 5 ტრანსპორტი. საერთოდ ინგლის-საფრანგეთის საზღვაო ძალებმა დაჰკარგეს 78 ერთეული, ხოლო საჰაერო ძალებმა — 55.

ბერლინი, 27 აპრილი (საქდესი). როგორც გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, გერმანიის ჯარის პოზიციები ნორვეგიაში თანდათან უმჯობესდება. ყველაზე ჩრდილოეთით მდებარე პუნქტში, სადაც გერმანიის ჯარი დაუახლოვდა მტერს, გერმანიის სამთო მსროლელებმა იერიში მიიტანეს ნორვეგიის ბატალიონზე ნარვიკის ჩრდილოეთით. ბატალიონი დამარცხდა და დიდი ზარალი განიცადა. ტყვედ წამოყვანილია 144 კაცი. ნარვიკის რაიონში სხვა ახალი რამ თითქმის არაფერი მომხდარა. გუშინ მტრის სამხედრო-საზღვაო ძალები განაგრძობდნენ ნავსადგურისა და ქალაქის მიდამოების ბომბარდირებას. ტრონჰეიმის რაიონში გერმანიის ჯარმა შემდგომ წარმატებებს მიაღწია. ჯარმა, რომელიც ოსლოს ჩრდილოეთით ტრონჰეიმის მიმართულებით მოქმედებდა, მნიშვნელოვან პუნქტებს მიაღწია და გასტეხა მტრის შეიარაღებული ძალების წინააღმდეგობა. უკანასკნელი დღეების ამბები ამ რაიონში სავსებით ამჟღავნებენ მტრის ცნობების სიცრუეს. იქ, სადაც, თანახმად ინგლისის ცნობებისა გერმანიის ჯარის წინსვლა შეჩერებული იყო და თითქოს მას დიდი ზიანი მიაყენეს, გერმანიის ჯარი ავიაციის მხარდაჭერით წინ მიიწევს. ინგლისელებთან ისეთ შთაბეჭდილებას ჰქმნის, თითქოს მტერი ცდილობს კვლავ გაგვიწიოს წინააღმდეგობა. აქამდე ტყვედ წამოყვანილი ინგლისელების რიცხვი შედარებით დიდია, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ინგლისელები აქამდე თავს არიდებდნენ ბრძოლას იქ, სადაც მათ მოულოდნელად არ დაესხმოდნენ ხოლმე თავს.

ბერლინი, 28 აპრილი (საქდესი). გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობა იუწყება: „გერმანიის ჯარი ნორვეგიაში 27 აპრილის განმავლობაში წარმატებით ოპერაციებს აწარმოებდა. ყველა პუნქტში, სადაც იგი წინააღმდეგობას წააწყდა, მოწინააღმდეგე უკუქცეულ იქნა. გერმანიის ჯარი სწრაფად განაგრძობდა წინსვლას. 27 აპრილს ტყვედ წამოყვანილთა შორის არიან ინგლისელები, მათ შორის პოლკოვნიკი. ვოსის დაკავების შემდეგ ბერგენის აღმოსავლეთით მდებარე რაიონში ნორვეგიის ჯარის გადარჩენილმა ნაწილებმა დაჰყარეს იარაღი და მთებში გაიქცნენ. სტავანჰერის რაიონში ტყვედ წამოყვანილ ოფიცერთა რიცხვი 241 კაცს აღწევს, ხოლო ტყვე ჯარისკაცთა რიცხვი — 2.921 კაცს. ტყვეთა შორის რამდენიმე ინგლისელი მფრინავია. ამ რაიონში გერმანიის ჯარმა ხელთ იგდო დიდძალი იარაღი, მათ შორის 22 ზარბაზანი და 267 ტყვიამფრქვევი. გარდა ამისა, სამხედრო-საზღვაო ფლოტის ნაწილებმა ამ რაიონში ხელთ იგდეს სანაპირო ბატარეები. ინგლისელები 26 აპრილს ღამით კვლავ ესროდნენ ნარვიკს. გერმანიის ავიაცია, მიუხედავად იმისა, რომ მოწინააღმდეგის საზენიტო არტილერია სასტიკად ესროდა, წარმატებით უშენდა ყუმბარას ინგლისის სახმელეთო ჯარს ჰარსტადსა და ონდალსნესთან. ნარვიკთან მძიმე ყუმბარა მოხვდა ინგლისის კრეისერის შუა ნაწილს. ონდალსნესთან ინგლისის საჰაერო თავდაცვის გემს სხვადასხვა ყალიბის რამდენიმე ყუმბარა მოხვდა და გაყვანილ იქნა მწყობრიდან.

მოლდე-ფიორდში ჩაძირულ იქნა ინგლისის 3 ტრანსპორტი, რომელთა საერთო წყალწყვა 12.000 ტონას უდრის, 23 ათასი ტონა საერთო წყალწყვის 4 ტრანსპორტი ძლიერ დაზიანდა. ჩრდილოეთის ზღვაზე ჩამოგდებულ იქნა ინგლისის თვითმფრინავი, მოწინააღმდეგის ორი თვითმფრინავი ჩამოგდებულია ხმელეთზე, გერმანიის ერთი თვითმფრინავი უკვალოდ დაიკარგა. დასავლეთში განსაკუთრებული არაფერი მომხდარა“.

ინგლისის ცნობები

ლონდონი, 28 აპრილი (საქდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს:

გერმანიის ჯარის ცდა — შეჭრილიყო სტეინკიერის სექტორში, ტრონჰეიმის ჩრდილო - აღმოსავლეთით, მოგერიებულ იქნა.

ტრონჰეიმის სამხრეთით მოკავშირეთა ჯარები ცდილობენ შეაჩერონ გერმანელთა იმ ჯარის წინსვლა, რომელიც ოსლოდან უტევს. დიდი ბრძოლა მოხდა რეროსის სამხრეთით.

ნორვეგიის დასავლეთ ნაწილში გაამფთრებული ბრძოლაა ოტას რაიონში (გუდბრანდსდალენის ველი). დასავლეთი გერმანიის ჯარი შეჩერებულ იქნა ჰალინგდალის ველზე, 55 კილომეტრზე ლილეჰამერის სამხრეთ-დასავლეთით. გერმანიის ჯარი უტევს ნორვეგიის ჯარის პოზიციებს ბერგენის აღმოსავლეთით.

გუშინ გერმანიის თვითმფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს ონდალსნესს. ბევრ სახლში ხანძარი გაჩნდა. მსხვერპლი არ არის. გერმანიის რამდენიმე თვითმფრინავი ჩამოგდებულ იქნა. ოლეზუნდში ნორვეგიის ავიაგამანადგურებლებმა ჩამოაგდეს გერმანიის 2 ყუმბარმშენი. ერთი ავიაგამანადგურებელი იძულებით დაეშვა. დონის ბაზებიდან ყოველდღიურად ზღვითა და ჰაერით ნორვეგიაში 3 ათასი გერმანელი ჯარისკაცი იგზავნება. 26 აპრილს ღამით შვეციის საზღვარზე გადავიდა 600 ნორვეგიელი, მათ შორის ნორვეგიის პრემიერის ნიუგორდსვოლდის შვილი.

ზოგიერთი ინგლისური გაზეთი აშკარად ამბობს, რომ შესაძლებელია სამხრეთი ნორვეგია გერმანელებს დაუტოვონ, ხოლო მოკავშირეთა მთელი ძალა მიმართული იქნება ნარვიკის ხელში ჩასაგდებად.

გაზეთ „ტაიმსის“ სამხედრო მიმომხილველი სწერს: „სასაცილო იქნებოდა იმის მტკიცება, რომ ტრონჰეიმის ხელში ჩაგდების ჩვენს კარგად მოფიქრებულ გეგმას დროებითი დამარცხება მაინც არ განუცდია“.

საკ. კ. პ. (ბ) ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პლენუმი

ლენინგრადი, 26 აპრილი (საქდესი). 26 აპრილს შესდგა საკ. კ. პ. (ბ) ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პლენუმი.

საკ. კ. პ. (ბ) ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად არჩეულია ამხ. **ა. ა. ჟდანოვი**, მეორე მდივნად — ამხ. **ტ. ფ. შტიკოვი**, მესამე მდივნად — ამხ. **[illegible]** **ვოროტოვი**, მდივნად კადრების დარგში — ამხ. **გ. ხ. ბუმაგინი**, მდივნად პროპაგანდის დარგში — ამხ. **მ. ნ. ნიკიტინი**.

საკ. კ. პ. (ბ) ლენინგრადის საქალაქო კომიტეტის პლენუმი

ლენინგრადი, 26 აპრილი (საქდესი). 26 აპრილს შესდგა საკ. კ. პ. (ბ) ლენინგრადის საქალაქო კომიტეტის პლენუმი. საკ. კ. პ. (ბ) ლენინგრადის კომიტეტის პირველ მდივნად არჩეულია ამხ. **ა. ა. ჟდანოვი**, მეორე მდივნად — ამხ. **ა. ა. კუზნეცოვი**, მესამე მდივნად — ამხ. **ი. ფ. კაპუსტინი**, მდივნად კადრების დარგში — ამხ. **ა. დ. ვერბიცკი**, მდივნად პროპაგანდის დარგში — ამხ. **ა. ი. მახანოვი**.

კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

პეტროზავოდსკი, 28 აპრილი (საქდესი). გუშინ შესდგა კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის პირველი პლენუმი. პლენუმმა აირჩია ცენტრალური კომიტეტის მდივნები და ბიურო, დაამტკიცა ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები და რესპუბლიკური გაზეთების რედაქტორები.

კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად არჩეულია ამხ. გ. ნ. კუპრიანოვი, მეორე მდივნად — ამხ. ნ. ნ. სოროკინი, მდივნად კადრების დარგში — ამხ. ა. ს. ვარლამოვი და მდივნად პროპაგანდის დარგში—ი. ი. სიუკიაინენი.

კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) პირველი ყრილობა

პეტროზავოდსკი, 25 აპრილი (საქდესი). კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) პირველ ყრილობაზე, რომელიც გუშინ გაიხსნა, საკ. კ. პ. (ბ) კარელიის საოლქო კომიტეტის მუშაობის შესახებ საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა პარტიის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. კუპრიანოვი. მან აღნიშნა ის დიდი წარმატებანი, რომლებსაც კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციამ მიაღწია რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებაში.

1939 წელს კარელიის ხე-ტყის ძირითადმა დამამზადებლებმა პირველად შეასრულეს წლიური გეგმა 104 პროცენტით. რესპუბლიკამ ჩვენს ქვეყანას მისცა 13,5 მილიონი კუბური მეტრი მაღალხარისხოვანი მერქანი. აგებულ იქნა სეგეჟის ცელულოზ-ქაღალდის კომბინატი, რომელიც უდიდესია ევროპაში. მთავრდება კონდოპოჟის ს. მ. კიროვის სახელობის ცელულოზ-ქაღალდის კომბინატის მეორე რიგის და მთელ რიგ სხვა საწარმოთა მშენებლობა.

მშრომელებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს სოფლის მეურნეობის დარგშიც. ჭვავის საშუალო მოსავლიანობა გადიდდა 11 ცენტნერამდე ჰექტარზე, ხორბლისა—10 ცენტნერამდე. მარტო 1939 წელს რესპუბლიკის კოლმეურნეობებში შეიქმნა მეცხოველეობის 1016 ფერმა.

მომხსენებელმა დიდი ადგილი დაუთმო პარტიულ მშენებლობას, კადრების მომზადებასა და დაწინაურებას, მარქსისტულ-ლენინური აღზრდისა და განათლების დაყენებას.

უკანასკნელი საოლქო პარტიული კონფერენციის დროიდან კარელიის პარტორგანიზაციამ საკ. კ. პ. (ბ) რიგებში მიიღო 1.698 წევრი და 3.504 კანდიდატი. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა კომუნისტებისა და კომკავშირელების, აგრეთვე საბჭოთა ინტელიგენციის ფართო ფენების მარქსისტულ-ლენინური განათლება. რესპუბლიკაში გავრცელებულ იქნა 65 ათასი ცალი „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“, აქედან 5 ათასი ცალი—კარელიურ ენაზე. უახლოეს დროში გამოვა „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“ ფინურ ენაზე.

ამხ. კუპრიანოვი შეჩერდა იმ ამოცანებზე, რომლებიც დგას პარტიული ორგანიზაციის წინაშე კარელ-ფინელი ხალხის ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურის განვითარებაში.

მომხსენებელი ყრილობის განსახილველად აყენებს საკითხს, რომ კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკის კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან მოეწყოს პარტიულ მუშაკთა სკოლები, სადაც სწავლება რუსულ და ფინურ ენაზე იწარმოებს.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების წინაშე სდგას განსაკუთრებული მნიშვნელობის ამოცანა — ბოლშევიკურად ჩაატარონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების საარჩევნო კამპანია.

○

დღევანდელი დილის სხდომაზე კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) პირველმა ყრილობამ მოისმინა საკ. კ. პ. (ბ) კარელიის საოლქო კომიტეტის სარევიზიო კომისიის მოხსენება. შემდეგ დაიწყო კამათი ორივე მოხსენების გამო.

ყრილობის დელეგატებმა მისალმება გაუგზავნეს ამხანაგ **მოლოტოვს**.

პეტროზავოდსკი, 26 აპრილი (საქდესი). ყრილობის გუშინდელი საღამოს და დღევანდელი დილის სხდომებზე გრძელდებოდა კამათი საკ. კ. პ. (ბ) კარელიის საოლქო კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო.

ახალი საბჭოთა ქალაქის სორტავალას პარტიული ორგანიზაციის დელეგატმა კუზნეცოვმა ილაპარაკა იმ დიდ მუშაობაზე, რომელიც ჩატარებულია ქალაქის საწარმოებისა და კომუნალური მეურნეობის აღსადგენად. სორტავალაში ამუშავდა ორი ჰიდროელექტროსადგური, რომლებმაც ელექტროენერგია მისცა ქალაქს ქუჩების, მოედნებისა და ბინების გასანათებლად, აღდგენილია ქალაქის წყალსადენი, ორთქლგათბობა სახლებში, მოეწყო სახელმწიფო ბანკის განყოფილებანი, ფოსტა, ტელეფონი, ტელეგრაფი, გაიხსნა ორი კომუნალური სასტუმრო. საერთაშორისო პროლეტარული დღესასწაულის—1 მაისისათვის იხსნება ქალაქის საავადმყოფო, საბავშვო სახლი და ბაგა.

მკაფიო სიტყვა წარმოსთქვა სანაპირო ჯარის ერთერთი ნაწილის ბატალიონის კომისარმა ამხ. ოვჩინიკოვმა. მან ილაპარაკა იმის შესახებ, თუ რა გმირობა და სიმამაცე გამოიჩინეს საბჭოთა მესაზღვრეებმა თეთრფინელებთან ბრძოლაში, თუ რა ერთგული არიან წითელი მებრძოლნი თავიანთი სამშობლოსი. ახლა მესაზღვრეები გამოვიდნენ, რათა დაიცვან საბჭოთა ქვეყნის ახალი საზღვრები. ისინი ამ საზღვრებს მიუვალს გახდიან ყოველი მტრისათვის.

ამხ. ოვჩინიკოვს სიტყვა არაერთხელ გააწყვეტინეს ტაშით სახელოვან მესაზღვრეთა პატივსაცემად.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე საკ. კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტის მდივნებმა ამხ. ვარლამოვმა, კოტელნიკოვმა და ისაკოვმა, კარელიის ასსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. სოლიაკოვმა, პარტიის კალევალის რაიკომის მდივანმა ამხ. მაქსიმოვმა და სხვა დელეგატებმა.

დელეგატები უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ მისალმებას, რომელიც ყრილობამ საკ. კ. პ. (ბ) ლენინგრადის საოლქო და საქალაქო გაერთიანებული კონფერენციისაგან მიიღო.

ყრილობას მიესალმა კიროვის რკინიგზის მოწინავე ადამიანთა დელეგაცია.

ყრილობამ ხანგრძლივი ტაშის გრიალში მიიღო მისალმება საბჭოთა კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრის მარშალ ამხანაგ ვოროშილოვისადმი.

პეტროზავოდსკი, 27 აპრილი (საქდესი). გუშინ კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) პირველი ყრილობის საღამოს სხდომაზე დამთავრდა საკ. კ. პ. (ბ) კარელიის საოლქო კომიტეტის საანგარიშო მოხსენების განხილვა.

პარტიის საოლქო კომიტეტის მდივნის ამხ. კუპრიანოვის საბოლოო სიტყვის შემდეგ ყრილობამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება — საკ. კ. პ. (ბ) კარელიის საოლქო კომიტეტის პოლიტიკური ხაზი ცნობილ იქნას სწორად და პრაქტიკული მუშაობა — დამაკმაყოფილებლად.

ყრილობამ მოისმინა და დაამტკიცა სამანდატო კომისიის მოხსენება. კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) პირველ ყრილობას დაესწრო 528 დელეგატი გადამწყვეტი ხმით და 206 დელეგატი — სათათბირო ხმით. დელეგატთა შორის არიან: სსრ კავშირის და კარელიის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოების 21 დეპუტატი, საბჭოთა კავშირის 6 გმირი, ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებული 196 დელეგატი.

დღეს ყრილობამ დახურული (ფარული) კენჭისყრით აირჩია კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და ცენტრალური კომიტეტის სარევიზიო კომისია. ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში არჩეულია 63 წევრი და 23 კანდიდატი.

ამით დამთავრდა ყრილობის მუშაობა.

ქრონიკა

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ დაამტკიცა ელექტროსადგურების სახალხო კომისარიატის კოლეგია სახალხო კომისრის ამხ. ა. ი. ლეტკოვის თავმჯდომარეობით და ამხანაგების დ. გ. ჟიმერინის (სახალხო კომისრის პირველი მოადგილე), ი. ი. დმიტრიევის (სახალხო კომისრის მოადგილე), პ. მ. სერგიენკოს (სახალხო კომისრის მოადგილე), პ. ნ. ფედოტოვის (სახალხო კომისრის მოადგილე), ბ. ე. ვედენეევის, ს. ა. სპირინისა და ს. კ. სვირიდოვის შემადგენლობით. (საქდესი).

ციტრუსების გაშენების გეგმა შესრულებულია

მახარაძის რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ციტრუსების გაშენების 1940 წლის გეგმა 100,1 პროცენტით შეასრულეს. დარგულია მანდარინი 380,5 ჰექტარზე, ლიმონი — 351 ჰექტარზე, ფორთოხალი — 34,4 ჰექტარზე. ციტრუსების რგვა გრძელდება.

საქ. კ. პ. (ბ) მახარაძის რაიკომის მდივანი ბ. ყურაშვილი
რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ი. დოლიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდგომარეობა დანიაში

კოპენჰაგენი, 27 აპრილი (საქდესი). გაზეთი „პოლიტიკენი" გადმოგვცემს, რომ 27 აპრილიდან დანიაში სანახევროდ მცირდება სარკინიგზო მიმოსვლა. 3 მთავარ ხაზზე თვითეული მიმართულებით ივლის არაუმეტეს 4-6 მატარებლისა. ბევრი ელექტრომატარებელი სავსებით სწყვეტს მუშაობას. საგრძნობლად მცირდება საზაფხულო მატარებლების რაოდენობა ჩრდილოეთისა და ზღვისპირა რკინიგზებზე.

ოფიციალურად იუწყებიან, რომ დანიის სასოფლო-სამეურნეო საბჭომ დასახა უახლოეს დროისათვის გერმანიაში საქონლის ექსპორტის პროგრამა. სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტი აპრილიდან 1940 წლის ივნისამდე რჩება დანია-გერმანიის ძველი შეთანხმების დონეზე. ამას გარდა ერბო-კარაქის, კვერცხისა და შაქრის ის რაოდენობა, რაც წინათ ინგლისში გაჰქონდათ, ახლა გერმანიაში გაიგზავნება. ამ სამი თვის განმავლობაში საქონელბრუნვის საერთო თანხა დაახლოებით 30-40 მილიონ კრონს შეადგენს. ანგარიშსწორება კლირინგის სისტემით იწარმოებს. გერმანიის ჯარისათვის საქონლის შესყიდვა თვით დანიაში მოხდება 10 აპრილს დადგენილი წესის თანახმად. ყველა ამ საქონელში, რომელსაც გერმანიის ჯარი დანიაში იღებს, იგი საფასურს იხდის განსაკუთრებული საგადასახდელო ნიშნებით, რომლებსაც ისეთივე კურსი აქვს, როგორც გერმანიის ფულს. ანგარიშსწორება ხდება შემდეგი კურსის მიხედვით: ერთი გერმანული მარკა უდრის 2 დანიურ კრონს. პირადი მოხმარების საქონლის ყიდვის დროს თვითეულმა გერმანელმა ჯარისკაცმა ნაღდი ფული უნდა გადაიხადოს.

ინგლისის პრესა აკრიტიკებს ინგლისის სამხედრო ხელმძღვანელობას

ლონდონი, 27 აპრილი (საქდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ინგლისის გაზეთები ხაზგასმით აღნიშნავენ მოკავშირეთა ჯარის სერიოზულ მდგომარეობას ნორვეგიაში. გაზეთები სწერენ, რომ სამხედრო სამინისტროს უკანასკნელ კომუნიკედან ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ მეტისმეტი აჩქარებით არ უნდა დავუჯეროთ დაუდასტურებელ ცნობას მოკავშირეთა წარმატების შესახებ.

გაზეთი „ივნინგ ნიუსი" მოწინავე წერილში აცხადებს, რომ საჭიროა ისე შევაფასოთ ნორვეგიაში შექმნილი ვითარება, რომ თავი არ მოვიტყუოთ. გაზეთი უჩივის იმას, რომ მთავრობა აქამდე ინფორმაციას არ აწვდის საზოგადოებრივ აზრს და ისეთნაირად ხატავს გერმანელების მიერ დანიისა და ნორვეგიის დაკავებას, თითქოს ეს ნაბიჯი უაღრესად ხელსაყრელი იყოს მოკავშირეებისათვის. გერმანიის დარტყმა, განაგრძობს გაზეთი, გაბედული და კარგად მოფიქრებული იყო. ამ დარტყმამ მოკავშირეები მოუმზადებლად შეხვდნენ. მოკავშირეები იძულებული გახდნენ დაეწყოთ უაღრესად სარისკო კამპანია მათთვის მეტად არახელსაყრელ პირობებში. მანამდე, სანამ არ შეიქმნება დროებითი აეროდრომები, ინგლისის ჯარის განლაგების ხაზის უკან და სანამ, ამ ხაზებზე დაყრდნობით, არ დაიწყებენ მოქმედებას ინგლისის ყუმბარმშენები და გამანადგურებლები, მანამდე გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრნა, კამპანია გამარჯვებით დამთავრდებაო. სწორედ ასევე არ შეიძლება რაიმე არსებითს მივაღწიოთ მანამდე, სანამ მოკავშირეები არ ჩაიგდებენ ხელში ნორვეგიის ერთს ან რამდენიმე მთავარ ნავსადგურს. დასასრულ გაზეთი სწერს, რომ მოკავშირეთა საექსპედიციო არმია თავის ძალას მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიჩენს, თუ ეს არმია მიიღებს სრულ სამხედრო მომარაგებას, საკმარისად იქნება გაძლიერებული და სათანადოდ დაცული ჰაერიდან.

გაზეთი „ივნინგ სტანდარდი" აგრეთვე შენიშნავს, რომ გერმანიის ჯარი ნორვეგიაში კვლავ ინარჩუნებს ინიციატივას. „საჭიროა ფხიზლად შევაფასოთ ჩვენი სიძნელეები ნორვეგიაში" დაასკვნის გაზეთი.

გამოძახილი ინგლისში ამერიკელი კორესპონდენტის სტოუს ცნობების გამო

ნიუ-იორკი, 27 აპრილი (საქდესი). გაზეთი „ჩიკაგო დეილი ნიუსი" გადმოგვცემს, რომ ამერიკელი კორესპონდენტის სტოუს ცნობამ ინგლისის იმ საექსპედიციო ჯარის ცუდი შეიარაღების შესახებ, რომლებიც ტრონჰეიმის ჩრდილოეთით იმყოფებიან, სენსაცია გამოიწვია ლონდონში. ცენზურამ ჯერ აკრძალა სტოუს ცნობების გამოქვეყნება. შემდეგ ინგლისის პრესაში გამოქვეყნდა მოკლე ამონაწერები ამ ცნობიდან. გაზეთი „ჩიკაგო დეილი ნიუსის" კორესპონდენტი სტონმენი სწერს, ამ ცნობას შესაძლოა სერიოზული შედეგები მოჰყვეს.

იმავე გაზეთის კორესპონდენტი კირკპატრიკი სწერს, რომ „კარგად ინფორმირებულ წრეებში ინგლისის მთავრობის მდგომარეობა მეტად მერყევად მიაჩნიათ". ლეიბორისტულმა პარტიამ, სწერს შემდეგ კორესპონდენტი, შეატყობინა მთავრობას, რომ თუ ინგლისის კამპანია ნორვეგიაში უფრო ენერგიულად არ იქნა წარმოებული, განსაკუთრებით თუ ნორვეგიელები ვერ მიიღებენ ინგლისის ავიაციის დახმარებას, მაშინ ლეიბორისტული პარტია მთავრობის წინააღმდეგ გაილაშქრებს. კორესპონდენტი ამტკიცებს აგრეთვე, რომ „შესამჩნევად იზრდება ისეთ კონსერვატორთა რიცხვი, რომლებიც ჰფიქრობენ, რომ ომის წარმატებით წარმოებისათვის საჭიროა უფრო ახალგაზრდა და ენერგიული ხელმძღვანელები".

ოლბორგის მცხოვრებნი ქალაქს სტოვებენ

კოპენჰაგენი, 26 აპრილი (საქდესი). გაზეთები იუწყებიან, რომ ოლბორგის ბევრი მცხოვრები, ინგლისის მიერ ყუმბარების დაშენასთან დაკავშირებით, სტოვებს ქალაქს. ინგლისის თვითმფრინავებმა თავდასხმა იწყეს არა მარტო დღისით, არამედ ღამითაც.

„დეილი უორკერი" ანდერსონის განცხადების შესახებ

ლონდონი, 26 აპრილი (საქდესი). გუშინ თემთა პალატის სხდომაზე ინგლისის შინაგან საქმეთა მინისტრმა ანდერსონმა განაცხადა, რომ „ადამიანთა ზოგიერთი ჯგუფი ხელს უშლის ინგლისის სამხედრო ღონისძიებათა განხორციელებას". გაზეთი „დეილი უორკერი", კომენტარებს უკეთებს რა ამ განცხადებას, სწერს, რომ ანდერსონი, როგორც სჩანს, შეშფოთებულია იმ უკმაყოფილებით, რომელიც განუწყვეტლივ იზრდება ინგლისში ახლანდელი ომის გამო. გაზეთი ჩამოსთვლის იმ ორგანიზაციებს, რომლებმაც ომის საწინააღმდეგო რეზოლუციები მიიღეს. კერძოდ, ასეთი რეზოლუციები მიიღეს 99 ლეიბორისტულმა ორგანიზაციამ, 32 პროფსაბჭომ, 118 პროფკავშირულმა განყოფილებამ, ტრედუნიონთა 4 აღმასკომმა, კოოპერატიული პარტიის 36 ორგანიზაციამ და ლეიბორისტული პარტიისა და ტრედუნიონების სამმა ფედერაციამ.

ნიუგორდსვოლდის მთავრობის დეკრეტი

ლონდონი, 21 აპრილი (საქდესი). რეიტერის სააგენტოს ცნობებით, ნიუგორდსვოლდის მთავრობამ გამოაქვეყნა დეკრეტი, რომლის მიხედვითაც ნორვეგიის ყველა გემი, რომელთა წყალწყვა 500 ტონას აღემატება, მთავრობის განკარგულებაში გადადის. ლონდონში დაარსებულია სავაჭრო და სანაოსნო მისია, რომელსაც მინიჭებული აქვს უფლება იმოქმედოს ნორვეგიის მთავრობის სახელით.

ომი ზღვაზე

სტოკჰოლმი, 27 აპრილი (საქდესი). როგორც შვეციის გაზეთი „ტრელებორგ ტიდნინგენი" იუწყება, ზუნდის სრუტეში, მალმესა და კოპენჰაგენს შორის ჩაძირულია გერმანიის ორი სატვირთო გემი.

კოპენჰაგენი, 27 აპრილი (საქდესი). გაზეთი „პოლიტიკენი" გადმოგვცემს, რომ ალექსანდრეტში დააკავეს ნორვეგიის სამი გემი და დანიის ერთი გემი. გემებს წინადადება მიეცათ, რეისი ბრიტანეთის ბაირაღქვეშ განაგრძეთო.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის რაიკომების პლენუმები

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. **ლენინის სახელობის რაიკომის** მეორე პლენუმმა მოისმინა თბილისის სატრიკოტაჟო კომბინატის დირექტორის ამხ. თუშიშვილისა და 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის დირექტორის ამხ. აბრამოვის მოხსენებები სტახანოველებთან მუშაობისა და მრავალდაზგოსანთა მოძრაობის შესახებ.

მოხსენებათა გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ოქრუაშვილმა (სატრიკოტაჟო კომბინატი), კუზინამ (სატრიკოტაჟო კომბინატის სტახანოველი), ყაზახიშვილმა (სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანა), ორჯონიკიძემ (კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხანა), ბუშაროვამ (პარტრაიკომი), ბალავაძემ (საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტი), ჩაგუნავამ (ამიერ-კავკასიის ლ. პ. ბერიას სახელობის რკინიგზის თბილისის განყოფილების პოლიტგანყოფილება), ბოგდანოვამ (26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის მრავალდაზგოსანი) და სხვ.

პლენუმზე გამოირკვა, რომ ლენინის სახელობის რაიონის ზოგ წარმოება-დაწესებულებაში ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა სტახანოვური მოძრაობის, კერძოდ მისი ახალი ფორმების—მრავალ დაზგაზე მუშაობისა და პროფესიათა შეთავსების ნამდვილად დანერგვას. ეს პირველ რიგში ითქმის სატრიკოტაჟო კომბინატზე, სადაც სუსტად ხელმძღვანელობენ ამ შესანიშნავ მოძრაობას. ადმინისტრაცია, პროფორგანიზაცია და პარტორგანიზაციაც კი ძალიან ცოტას ფიქრობენ ამ საქმეზე. ამის შედეგია, რომ მათ სტახანოველთა სიაში შეიტანეს 44 ისეთი მუშა, რომლებიც გეგმას 80-90 პროცენტით ასრულებენ.

პლენუმის მუშაობა შეაჯამა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის სახელობის რაიკომის მდივანმა ამხ. მ. დ. ჩუბინიძემ. პლენუმმა მიიღო სათანადო ღონისძიება, დასახა სტახანოვური მოძრაობისა და მისი ახალი ფორმების ფართოდ გაშლის კონკრეტული გზები.

პლენუმმა განიხილა აგრეთვე ორგანიზაციული საკითხი. რაიკომის მდივნად კადრების დარგში აირჩია ამხ. **ა. ვ. ჩახუნაშვილი.**

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. **ს. მ. იმხანოვი.**

○

ამ დღეებში ჩატარდა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. **სტალინის რაიკომის** მე-2 პლენუმი.

პლენუმმა მოისმინა ქალაქის ელექტროტრანსპორტის მუშაკთა პროფკავშირის გაერთიანებული ადგილკომის თავმჯდომარის მოხსენება ადგილკომის მუშაობის შესახებ. მოხსენების გარშემო კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. იმნაძემ, ჩუბინიძემ, პოპოვმა, აბაშიძემ, რაზმაძემ, ჯაფარიძემ და სხვ.

პლენუმმა ყურადღება გაამახვილა შრომის დისციპლინის განმტკიცების საკითხზე, განსაკუთრებით მოძრაობის დარგში, აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ ადგილი აქვს ხშირ გაცდენა-დაგვიანებას, უყაირათობას. ცუდია ვაგონების რემონტის ხარისხი, სისტემატურად არ ეწყობა საწარმოო თათბირები, ნაკლები ყურადღება ექცევა მუშა-გამომგონებელთა რაციონალიზატორულ წინადადებებს.

პროფკავშირული ორგანიზაციები ნაკლებად დაინტერესებული არიან სტახანოვური მუშაობის მეთოდების და ხერხების ურთიერთ გაზიარებისა და დანერგვის საქმით.

პლენუმმა დასახა კონკრეტული ღონისძიებანი პროფკავშირული ორგანიზაციებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერებისა და მათი მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

აგრეთვე განხილულ იქნა ორგანიზაციული საკითხი: პლენუმმა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის სახელობის რაიკომის მდივნად კადრების დარგში ერთხმად დაამტკიცა ამხ. მაისურაძე.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი კადრების დარგში ამხ. ა. კვაჭაძე.

○

შესდგა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. **მოლოტოვის რაიკომის** მორიგი პლენუმი.

პლენუმზე განხილულ იქნა საკითხი რაიონის პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში პარტიული მეურნეობის მდგომარეობის შესახებ. აღნიშნულ საკითხზე პლენუმმა მოისმინა რაიკომის მდივნის ამხ. ვ. გარსევანიძის მოხსენება.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პარტიული მეურნეობის საკითხი პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში ახლა უფრო მოწესრიგებულია. რაიკომი მეტ კონკრეტულ-ოპერატიულ დახმარებას უწევს ორგანიზაციებს. მომხსენებელი აგრეთვე ფართოდ შეეხო იმ ნაკლოვანებებს, რომლებიც ჯერ კიდევ აქვთ ზოგიერთ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს პარტიული მეურნეობის დაყენების საქმეში.

№ 1 სამკერვალო ფაბრიკის პარტორგანიზაციაში ოქმებს წესიერად არ აფორმებენ, ხშირად ოქმზე ხელს არ აწერენ კრების თავმჯდომარე და მდივანი. ავჭალის საკოლმეურნეო ბაზრის პარტორგანიზაციის საალრიცხვო ჟურნალი უსუფთაოდ აქვს შენახული. ჟურნალში კომუნისტების აღრიცხვაც მოუწესრიგებელია. მაგალითად, ასატუროვი და ხაჩატუროვი ჟურნალში ირიცხებიან, როგორც კანდიდატები, ნამდვილად კი ისინი დიდი ხანია პარტიის წევრებად არიან მიღებული.

მოხსენების გარშემო კამათში მონაწილეობა მიიღო სულ 11 ამხანაგმა.

პლენუმმა ამხ. ლ. გაბედავა დაამტკიცა რაიკომის მდივნად კადრების დარგში.

○

გაზეთ „კომუნისტის" კომბინატის კლუბში შესდგა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. **ორჯონიკიძის სახელობის რაიკომის** მე-2 პლენუმი.

პლენუმმა მოისმინა ქ. თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტბიუროს მდივნის ამხ. ე. ფოფხაძის მოხსენება პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ. მომხსენებელი ვრცლად შეეხო პარტიული პროპაგანდისა და აგიტაციის დაყენების საქმეში როგორც მიღწევებს, ისე ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებს.

მოხსენების გარშემო კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა: ვ. დევაძემ (გაზ. „კომუნისტის" კომბინატის პარტბიუროს მდივანი), ჩიტაურმა (სტუდენტთა ქალაქის პარტბიუროს მდივანი), მეგრელიძემ (საქართველოს ლ. ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პარტბიუროს მდივანი), ცერცვაძემ (სამტრესტის პარტბიუროს მდივანი), რ. მოწერელიამ (კომკავშირის ორჯონიკიძის სახ. რაიკომის მდივანი), დოკვაძემ (საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომი), გოგუამ (აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის პარტბიუროს მდივანი), შ. ჯაფარიძემ (საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. ორჯონიკიძის სახელობის რაიკომის მდივანი) და ლომიძემ (თბილისის პუშკინის სახელობის სამასწავლებლო ინსტიტუტის პარტბიუროს მდივანი).

ამხ. ე. ფოფხაძის საბოლოო სიტყვის შემდეგ პლენუმზე შემაჯამებელი სიტყვით გამოვიდა რაიკომის მდივანი ამხ. პ. მეედლიძე.

პლენუმმა მიიღო სათანადო ღონისძიებები პარტიული პროპაგანდის დაყენების შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხი: საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის სახელობის რაიკომის მდივნად კადრების დარგში დაამტკიცა ამხ. ლ. კასრაშვილი.

○

ამას წინათ შესდგა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. **კიროვის რაიკომის** მე-2 მორიგი პლენუმი, რომელმაც მოისმინა პარტრაიკომის მდივნის ამხ. ნ. გალუსტოვის მოხსენება რაიონული აქტივის თვითგანვითარების შესახებ.

მომხსენებელი უმთავრესად შეეხო იმას, თუ რაიონის პარტიული აქტივი როგორ სწავლობს საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის სტალინურ სახელმძღვანელოს და აღნიშნა, რომ რაიონის მთელი რიგი ხელმძღვანელი მუშაკები არადამაკმაყოფილებლად იბრძვიან ბოლშევიზმის დაუფლებისათვის; მაგალითად, საგალანტერეო ფაბრიკის დირექტორი ამხ. მურადოვი, № 1 ტყავის ქარხნის პარტბიუროს მდივანი ამხ. შემაკიაშვილი, „მკერავის" № 6 ფაბრიკის დირექტორი ამხ. ქარუმიძე და სხვ.

ამხ. გალუსტოვმა საინტერესო მაგალითებით ნათელჰყო, რომ იქ, სადაც პარტბიუროების მდივნები დამოუკიდებლად მუშაობენ წიგნზე, ყოველდღიურად ზრუნავენ თავიანთი იდეურ-თეორიული დონის ამაღლებაზე, პარტორგანიზაციის სხვა წევრებიც დაინტერესებული არიან მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების შესწავლით.

მოხსენების გარშემო კამათში გამოვიდნენ ამხ. ულენტი, ხაჩატუროვი, ქარუმიძე, მურადოვი, კობერიძე და სხვ. სულ 12 კაცი.

პარტიის რაიონული აქტივის თვითგანვითარების დარგში მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის პლენუმმა დასახა სათანადო პრაქტიკული ღონისძიებები.

დასასრულ პლენუმმა განიხილა საორგანიზაციო საკითხი. კიროვის პარტრაიკომის მდივნად კადრების დარგში აირჩია ამხ. ხოშტარია.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. ე. ჩერქეზიამ.

○

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. **ბერიას სახელობის რაიკომის** პლენუმმა, რომელიც ამ დღეებში ჩატარდა, განიხილა საკითხი საქ. სსრ პროკურატურის პირველადი პარტორგანიზაციის მუშაობის შესახებ.

პლენუმმა აღნიშნა, რომ რესპუბლიკის პროკურატურის პარტიულმა ორგანიზაციამ ჯერ კიდევ ვერ გარდაჰქმნა მუშაობა XVIII პარტყრილობისა და საქ. კ. პ. (ბ) XIII ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე.

პარტორგანიზაციის ბიურო სუსტად მუშაობს პარტიის რიგების ზრდისათვის. უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში პარტიის რიგებში მიღებულ იქნა საქ. კ. პ. (ბ) წევრობის 11 კანდიდატი; პარტბიურო არადამაკმაყოფილებლად მუშაობს ახალგაზრდა კომუნისტებთან. პარტიის წევრობის ზოგიერთ კანდიდატს 2-3 დავალება აქვს მიცემული, ხოლო ზოგიერთს სულ არა აქვს პარტიული დავალება. იშვიათად ტარდება აგრეთვე პარტიის წევრობის კანდიდატთა თათბირები და სხვ.

პარტბიურო ნაკლებად ზრუნავს პროპაგანდისტული მუშაობის გაუმჯობესებისათვის. პარტორგანიზაციის ხელმძღვანელებმა არ იციან, თუ როგორ მეცადინეობენ ცალკეული კომუნისტები თავიანთი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის. სწორედ ამის შედეგად, პარტიის წევრებისა და კანდიდატების უმრავლესობა ჯერაც არ გასცილებია საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის მესამე და მეოთხე თავის შესწავლას.

სრულიად მოუმზადებლად ტარდება პარტიული კრებები. ხშირად განიხილავენ საკითხს კრებაზე, მაგრამ დადგენილების მიღება შემდეგისთვის რჩება.

რესპუბლიკის პროკურატურაში ჯერ კიდევ აქვს ადგილი ბიუროკრატიზმს, მშრომელთა საჩივრებისადმი გულგრილ დამოკიდებულებას. პროკურატურის ცალკეული მუშაკები დაუშვებლად აჭიანურებენ მშრომელთა საჩივრების განხილვას. პარტბიუროს სხდომაზე ერთხელაც არ გამხდარა მსჯელობის საგნად აღნიშნული მდგომარეობა.

პლენუმმა მიიღო დადგენილება რესპუბლიკის პროკურატურის პარტორგანიზაციის მუშაობის გაუმჯობესების შესახებ.

რაიკომის პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხი: რაიკომის მდივნად კადრების დარგში დამტკიცებულ იქნა ამხ. გ. ურჯუმელაშვილი.

○

ამ დღეებში შესდგა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. **26 კომისრის სახელობის რაიკომის** მე-2 პლენუმი.

პლენუმმა მოისმინა საქ. ალკკ თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის სახ. რაიკომის მდივნის — ამხ. პეტროსიანის მოხსენება რაიონის კომკავშირული ორგანიზაციის მუშაობის შესახებ.

პლენუმზე გამოირკვა, რომ კომკავშირულ ორგანიზაციას ერთგვარი მიღწევები მოუპოვებია ახალგაზრდობის მასობრივ-პოლიტიკური აღზრდის, მარქსიზმ-ლენინიზმის დაუფლების, სამხედრო-თავდაცვითი მუშაობის და კომკავშირის რიგების ზრდის საქმეში, მაგრამ ამასთანავე აღინიშნა დეფექტებიც.

ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის, წისქვილკომბინატის, ნავთლუღის რკინიგზის კვანძის და სხვა კომკავშირული ორგანიზაციები საჭირო ყურადღებას არ აქცევენ მასობრივ-თავდაცვითი მუშაობის საქმეს. მე-71 და მე-89 სკოლების კომკავშირელები სწავლაში ავანგარდულ როლს ვერ იჩენენ. აქ ფრიადოსან მოსწავლე კომკავშირელთა რიცხვი თითზე ჩამოსათვლელია.

პლენუმზე აღინიშნა აგრეთვე, რომ პირველადი პარტიული ორგანიზაციები სუსტად ხელმძღვანელობენ კომკავშირს.

მოხსენების გამო კამათში მონაწილეობა მიიღო 13 ამხანაგმა. დასასრულ ვრცელი სიტყვით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის სახელობის რაიკომის მდივანი ამხ. ვ. სიხარულიძე, რომელმაც აღნიშნა რაიონის კომკავშირული ორგანიზაციის ნაკლოვანებანი და მიუთითა გამოსწორების გზებზე.

პლენუმმა 26 კომისრის სახელობის პარტიის რაიკომის მდივნად კადრების დარგში დაამტკიცა ამხ. გოქსაძე.

საბჭოთა დრამატურგიის ახალი გამარჯვება

„გრაფის ქვრივი" რუსთაველის თეატრში

ს. კლდიაშვილის ახალი სამმოქმედებიანი კომედია „გრაფის ქვრივი" წარმოადგენს პოლონელი მემამულის სახლში ერთ დღეღამეში დატრიალებულ, არაჩვეულებრივი შემთხვევებით აღსავსე ამბავს. პოლონელი პანების სახელმწიფოს რღვევის კომედიურ ორომტრიალში პრისკას კარზე თავი მოიყარეს სხვადასხვა ხასიათის, ზნისა და ქცევის ადამიანებმა. ვინ არ არიან აქ? პოლონეთის ჯარის ოფიცრები, შიშის ზაფრით შეპყრობილი პანების ჟანდარმერია, რომლის უფროსი ინსტრუქციის თანახმად სწვრთნის თავის რაზმს: „ყოველი პოლონელი ჟანდარმი შემბრალე და გულისხმიერი უნდა იყოს. თუ ხედავ, რომ გლეხმა მდინარეში თავის დახრჩობა მოინდომა, დაეხმარე და უჩვენე სად უფრო ღრმაა წყალი". პრისკას სახლში თავს აფარებს პოლონეთის არისტოკრატიის „სიამაყე და მშვენება"—რეგვენი გრაფი სიგიზმუნდ პშეპშეცკა, რომელიც ოცდაათი წლის ასაკშიაც კი თითსა სწოვს და ათას ერთი ფათერაკისაგან თავდასაღწევად ერთადერთი სიტყვით ლუღლუღებს: „მამან". ამავე სახლში მოითქვამენ სულს გამოქცეული ინგლისელი გენერალი და ფრანგი პოლკოვნიკი ოჟერო, რომელნიც აუღელვებლად ახორციელებენ პოლონეთისადმი „მორალურ დახმარებას" სიტყვების დაუღალავი წარმოთქმით, სადღეგრძელოების ენერგიული შესმით და ლამაზ ქალებთან ექსტრავაგანტური დროს გატარებით. ამავე სახლში ჩაუშვებს ღუზას გრაფის ქვრივი—ყოფილი შანსონეტკა და ახლა ბედის მაძიებელი, რომელიც ქალაქიდან ქალაქად, სოფლიდან სოფლად დაათრევს გრაფის ყეყეჩ ვაჟს, რათა როგორმე „მისი ლენჩი ბრწყინვალება" მდიდარ ქალზე დააქორწინოს. ყველა ესენი პოლონეთის „მამაცად" უკანდახეული მხედრობის წინ გამორბიან და თავს იყრიან მდაბიოთაგან გამოსულ, გამდიდრებულ მემამულე პრისკასთან, რომელსაც ხანში შესული, მაგრამ ჯერ კიდევ ვნებადაუწყნარებელი მეუღლე ჰყავს და გასათხოვარი ქალიშვილი.

კომედიური სიცხოველისათვის აუცილებელი სისწრაფით იქსელება ინტრიგა. ინტერესთა დაჯახება, მოტყუება, თვალისახვევა, ღალატი, სიცრუე და შეცდომა სრულ ძალაში არიან. ყოველი სცენით განვიცდით დაუზოგავი და აზრიანი სიცილის მამხილებელ ძალას. ჩვენს თვალწინ სასაცილოდ იხატება ბეჟმკას და შეშკას პოლიციური ბერკეტის მფარველობის ქვეშ გამოლენჩებულ ადამიანთა გონებრივი და სულიერი ფუტუ სამყარო. ნიღაბი ეხდება უილაჯო და უქნარა მმართველებს — პოლონელ პანებს, რომელნიც „მორალურ დახმარებას" იღებენ გაუბედავ მოკავშირეთაგან ინგლისელ და ფრანგ პოლკოვნიკებთან მაზურკის თამაშით.

ყოველივე ეს წარმოსახულია მიზანსწრაფული გონებამახვილობით, კომედიური ჟანრის მთელ შესაძლებლობათა გამოყენებით, ინტრიგის ცხოველი განვითარებით და ხასიათების მოქმედებაში გამოვლინების ოსტატობით. სიუჟეტი ინტერესის აღმძვრელად, ხალისიანად და მსუბუქად იშლება.

ამ უაღრესად სცენიურ კომედიაში უსიტყვო პერსონაჟებიც კი ისეთ სიტუაციაში არიან გამოტარებული, სცენისათვის ისეთ ხელსაყრელ ურთიერთობაში არიან ჩაყენებული დანარჩენ მომქმედთა მიმართ, რომ ერთის შეხედვით უმნიშვნელო როლიც კი სანატრელი ხდება აქტიორული განსახიერებისათვის. აი, მაგალითად, ახალგაზრდა მსახიობი **ი. ბეჟაური** შესანიშნავად მოფიქრებული და კარგად განხორციელებული გრიმით სიტყვაზე მეტად მეტყველი მიმიკითა და ჟესტით, ტანსაცმლის მოხდენილი ტარებით, ყოველ დეტალებში დამუშავებული სწორად გააზრებული მოძრაობით ახერხებს ინგლისელი გენერლის უსიტყვო როლიდან დასამახსოვრებელი სასცენო სახე შექმნას. თუ ბეჟაურს მხატვრულ მეტყველებაშიაც ასეთი ძალის გამოჩენის შნო და უნარი აქვს ან ექნება, მაშინ მისი სახით სცენას ხაიმედო ძალა შემძენია.

დრამატურგმა გრაფ პშეპშეცკას თითქმის ერთადერთი სიტყვა მისცა „მამან" და უამრავი ხელსაყრელი მდგომარეობა მიმიურ ხელოვნებაში თავის გამოსაჩენად. **შ. აბესაძე** მარჯვედ ახერხებს ამ ერთადერთი სიტყვის გამოყენებას, მას ინტონაციის მრავალნაირობით ამდიდრებს და ამეტყველებს, უსიტყვო როლის შესავსებად მას ყოველი ხელსაყრელი სცენიური მდგომარეობა მოხერხებულად და ეფექტიურად აქვს გამოყენებული და, პირისახე რომ ნიღაბად არ გადაექცია და მიმიკა მოეხმარა, მაშინ პშეპშეცკას ეს სახე უთუოდ სრულყოფილი იქნებოდა.



ს. კლდიაშვილის კომედია „გრაფის ქვრივი" რუსთაველის თეატრში. სურათზე: სცენა მეორე მოქმედებიდან. ფოტო ვლ. გინზბურგისა.

○

ახალგაზრდა მსახიობთაგან ნოტარიუსის როლის ჩინებულად შემსრულებელი **დ. ოქროსცვარიძე** ყურადღებას იქცევს განსახიერებულ როლისათვის მეტად მახვილი დეტალების ბოლომდე დამუშავებული ფორმის ჩამოძერწვით და ყოველი ფრაზის სწორი გააზრებით. შესანიშნავია, როდესაც ეს წიგნების ჩრჩილად ქცეული ნოტარიუსი გრაფისადმი წასაკითხ ლათინურ მილოცვას შეცდომით მის მოსამსახურეს უკითხავს, ან კიდევ როდესაც უკანასკნელ მოქმედებაში დაგვიანებით ცხარდება.

ლ. ზაუტაშვილი (ბრონისლავი) გვახარებს კომედიისათვის ეგრერიგად საჭირო სიმკვირცხლით და თავისუფალი თამაშის უნარით ბუნებრივი ჰუმორით წარმოგვისახავს ბედისმაძიებელი ქვრივის გაიძვერა მოსამსახურეს.

ალ. კუპრაშვილმა (შიშკა) ამ სპექტაკლში კომედიური როლების საუკეთესო შემსრულებელს ემ. აფხაიძეს ღირსეული პარტნიორობა გაუწია და სიცილით აავსებს დარბაზს. მისი ნათელი თამაში, ცოცხალი და დამაჯერებელი კომიზმით აღსავსე ჟესტი და სიტყვა ამ როლში ბევრს მოიგებდა, რომ იმერიზმებისაგან თავს გაითავისუფლებდეს.

მსახიობის ბრალი არ არის, დანილოს როლი ასე მკრთალად და საფინალო სცენისათვის კი ასე უხერხულადაც (სავარძელში ყვარყვარესებური ჩაჯდომა) რომ არის დაწერილი. მიუხედავად ამისა, ამ როლის შემსრულებელი **კ. ვადაჭკორია** შესამჩნევ ტემპერამენტს იჩენს, ყურადღებამისაქცევ გულწრფელობას და განცდის სიმართლეს აღწევს.

ახლა, როდესაც მთელ საბჭოთა კავშირში ახალგაზრდა მსახიობთა დათვალიერება მიმდინარეობს, ჩვენ განზრახ შევჩერდით ახალგაზრდა აქტიორების შემოქმედებაზე. შთამბეჭდავ როლებს ამ სპექტაკლში ახალგაზრდებიც თამაშობენ და მოსაწონადაც. ამ მხრივ რეჟისორ **დ. ალექსიძის** მუშაობა განსაკუთრებით არის დასაფასებელი.

ხანგრძლივი სცენიური გამოცდილებისა და თავის უტკბო ნიჭის მეოხებით **ნატალია ჯავახიშვილმა** (ჟოზეფინა) ცხოვლად და მართლად, გასაოცარი სიმკვირცხლითა და სიხალისით წარმოგვისახა ხანში შესული ქალის დაუმცხრალი ვნებათაშლილობის კომიზმი. დაუსრულებელი სიცილის აღმგზნებ სცენებს ქმნის იგი მეორე მოქმედებაში, როდესაც ჯერ მარტო და მერმე ოფიცერთან თავისქნევით ცეკვავს. შესანიშნავია მეოთხე მოქმედებაში, როდესაც ქმარს გაუკაპასდება და მერმე ფულითა და განძეულით ოჟეროს გულს მოიგებს.

ნ. მესხიშვილი მეტად საინტერესოდ და გაბედულად წარმოგვისახავს გრაფის ქვრივს. მსახიობს კარგად აქვს მოფიქრებული და კარგადაც დაატარებს არისტოკრატი ქალის ქედმაღლობის ნიღაბს, რომ ბოლოს მოთმინებიდან გამოსულმა ეს ნიღაბი შანსონეტკას სრულიად ახალი სახით შესცვალოს. ორ სახედ როლის სცენიური განსახიერება მეტად რთული და სახიფათო რამ არის აქტიორულ შემოქმედებაში. ნ. მესხიშვილმა მხატვრული ტაქტით, ზომიერების გრძნობით განახორციელა ეს და გადასვლები ჩინებული და იოლი აქვს.

ამ სპექტაკლში **მ. ჯაჯანიშვილი** (იადვიგა) განსაკუთრებით კარგი იყო. მან გვიჩვენა სცენიური განსახიერების უნარის შესამჩნევი ზრდა.

ო. დოლიძემ მოსამსახურე ქალის სახე მისთვის ჩვეული კომიზმით, ხალისიანად და მართლად დაგვიხატა. ჩინებულად წარმოსახულმა გულუბრყვილობამ ბევრით აცინა მაყურებელი.

ემ. აფხაიძემ (ბეიშკა) საოცარი წარმომსახველი ძალის, უაღრესი ტიპიურობით აღსავსე, ბევრის მთხრობელი, დაუზოგავად მამხილებელი სატირული სახე შექმნა. რა ბოროტებით და მძულვარებით გამოიყურებიან წარბების ჯაგარში ჩასაფრებული თვალები, როგორ უწმინდურად დაგორავს ეს ცემა-ტყეპის მანქანა და ლანძღვა-გინებით სავსე ტომარა!

თუ რა დიდი მადლია მსახიობისათვის სცენიური მომხიბლველობა, ამის წარმოსადგენად საკმარისია ნახოთ **გ. საღარაძე** ოჟეროს როლში. მას სცენიური გარეგნობაც მეტად მოხდენილი აქვს, მოძრაობა შნოიანი და სიტყვა სანდომიანი. ამას დაუმატეთ ზომიერების ტაქტი და მხატვრული შესრულების კეთილშობილება და აგრეთვე იშვიათი უნარი კომედიური როლების თავისუფლად წარმოსახვისა. მთელ სპექტაკლს თავისი თამაშით ის მიმზიდველ არომატს უქმნის.

რეჟისორმა **დ. ალექსიძემ** ნამდვილად რეალისტური და ნამდვილად კომედიური სპექტაკლი შექმნა. ცნობილ აქტიორთა წარმატებამ და ახალგაზრდა აქტიორთა ზრდამ, რაც ამ სპექტაკლით იქნა ცხადყოფილი, გვიჩვენა, თუ როგორ სწორ და ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ეწევა დ. ალექსიძე. მიზანსცენები თავისი გააზრებით და კომპოზიციით ამჟღავნებენ მისი შემოქმედების სერიოზულ და მაღალმხატვრულ რეჟისორულ სკოლას. მხატვარი **დ. თავაძე** და კომპოზიტორი **რ. გაბიჩვაძე** სპექტაკლის მხატვრობას ამშვენებენ.

სპექტაკლის ნაკლია, რომ იოზეფის სახე (მსახ. **გ. კიკნაძე**) მეტად მკრთალად არის ნაჩვენები. არ შეგვიძლია აგრეთვე დავეთანხმოთ რეჟისორსა და რამდენადმე დრამატურგსაც პრისკას როლის გააზრება-განსახიერებაში. რა გინდ კარგადაც არ უნდა ასრულებდეს ამ როლს ნიჭიერი მსახიობი **ალ. აფხაიძე,** კომედიური როლისათვის შეუფერებელი პათოსით, დრამატიული ტონი დასანანებლად ამძიმებს სპექტაკლს. განსაკუთრებით ეს ითქმის უკანასკნელ მოქმედებაზე, როდესაც რამდენადმე ნელდება პიესის კომიზმის ცხოველი ძალა.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ ქართველ საბჭოთა დრამატურგების სიჩუმე მიმდინარე სეზონში ს. კლდიაშვილმა შესანიშნავი პიესით აგვინაზღაურა, რაც უთუოდ ქართული საბჭოთა კომედიის მომწიფებას მოწმობს. სცენაზე ამ კომედიის დადგმა იმის ნიშანია, რომ რუსთაველის თეატრი ცხოველ როლს თამაშობს ახალი დრამატურგიის ზრდა-განვითარებაში და პოულობს შესანიშნავ მასალას, რომელზედაც თვალსაჩინოდ იზრდებიან მისი ახალგაზრდა ძალები და წარმატებას აღწევენ ნაცადი ოსტატები.

დ. ჯანელიძე.

სახალხო განათლების ხელმძღვანელ მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი

შესდგა საქ. სახალხო განათლების ხელმძღვანელ მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი, რომელსაც დაესწრნენ აფხაზეთის და აჭარის ასსრ განათლების სახალხო კომისრები, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის, საქალაქო და რაიონული მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეები.

თათბირმა მოისმინა საქ. სსრ განათლების სახალხო კომისრის ამხ. გ. კიკნაძის მოხსენება მიმდინარე სასწავლო წლის სამი მეოთხედის შედეგებისა და ახალი სასწავლო წლისათვის მზადების შესახებ და განათლების სახალხო კომისრის მოადგილის ამხ. ბ. კიზირიას მოხსენება სასკოლო მშენებლობის მიმდინარეობისა და 1940 წლის ამოცანების შესახებ. თათბირმა მოისმინა აგრეთვე განსახკომის საგეგმო-საფინანსო სამმართველოს უფროსის ამხ. პ. კობახიძის მოხსენება სახალხო განათლების 1938-39 სასწავლო წლის ბიუჯეტის შესრულების შედეგებისა და მიმდინარე სასწავლო წლის ბიუჯეტის შესახებ.

მოხსენებათა გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 32 კაცმა.

თათბირმა სახალხო განათლების ფრონტის ყველა მუშაკს მოუწოდა ფართოდ გამოეხმაურონ ამხ. მ. ი. კალინინის მიმართვას, რომელიც ეხება სოფლის ქოხსამკითხველოების, კლუბების, კულტურის სახლების მუშაობის ახლებურად მოწყობას, და უზრუნველჰყონ ჩვენი სოციალისტური სოფლის ახალი კულტურული აღმავლობა.

თათბირმა მოსმენილ მოხსენებათა გარშემო სათანადო პრაქტიკული ღონისძიებები დასახა.

საპირველმაისო ვაჭრობა

თბილისის სავაჭრო ორგანიზაციებში საპირველმაისო ვაჭრობის მოსაწყობად დიდი მზადება მიმდინარეობს. თბილისის სავაჭრო ორგანიზაციების 16 ცენტრალური მაღაზია წინადღესასწაულო დღეებში ღამის 2 საათამდე ივაჭრებს, ხოლო 29 და 30 აპრილს სადღესასწაულო ვაჭრობისათვის გამოყოფილია 5 ცენტრალური მაღაზია. პირველ მაისს დემონსტრანტთა მომსახურებისათვის ავტომანქანებზე მოეწყობა 45 სავაჭრო მოძრავი წერტი. გამოყოფილია 210 ხელზე დამტარებელი. გარდა ამისა, 34 ავტომანქანა და 108 ხელზე დამტარებელი მომსახურებას გაუწევენ მცხეთაში და ხუდადოვის ტყეში სამაისოდ გამოსულ მშრომელებს.

დამატებითი მატარებლები მცხეთაში

მცხეთაში მაისობაზე მშრომელთა წასასვლელად 2 მაისისათვის დანიშნულია 2 წყვილი დამატებითი საგარეუბნო მატარებელი №№ 107/108 და 109/110 შემდეგი განრიგების მიხედვით:

მატარებელი № 108 თბილისიდან გადის 7 ს. 20 წ., ხოლო მატარებელი № 110— 8 ს. 22 წ. მატარებელი № 107 მცხეთიდან უკან გამოდის 16 ს. 54 წ., ხოლო მატარებელი № 109 — 18 ს. 07 წ. გარდა ამისა, დასასვენებელი დღეების მსგავსად, ივლის დამატებითი მატარებელი № 105/106 თბილისი — გორი, რომელიც თბილისიდან გავა 8 ს. 50 წ., ხოლო გორიდან გამოვა 18 ს. 27 წ.

გასვლის დრო აღნიშნულია მოსკოვის დროით.

ხელოვნების ქრონიკა

პოეტი — ორდენოსანი გიორგი ლეონიძე ამთავრებს სცენარს დიდი ისტორიული ფილმისათვის „გიორგი სააკაძე".

○

მუსიკალური კომედიის სახელმწიფო ქართულმა თეატრმა დასადგმელად მიიღო დრამატურგ მიხეილ ლაკერბაის ახალი კომედია „ნათელა". მუსიკას კომედიისათვის სწერს კომპოზიტორი ქ. ცაგარეიშვილი. (საქდესი).

ბრძანება

თბილისის გარნიზონის ჯარისადმი

№ 25

ქალ. თბილისი 1940 წ. 26 აპრილი.

§ 1.

1940 წლის 1 მაისს, 10 საათზე საერთაშორისო პროლეტარული დღესასწაულის დღეს ბერიას სახელობის მოედანზე დანიშნულია თბილისის გარნიზონის ჯარის პარადი.

§ 2.

პარადს მიიღებს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარის სარდალი.

§ 3

პარადის სარდლობა დაკისრებული აქვს ოლქის შტაბის უფროსის მოადგილეს ბრიგადის მეთაურს ამხ. ხრიაშჩევს.

§ 4

პარადზე გამოყვანილ იქნან გარნიზონის ჯარი და თბილისის მუშათა შეიარაღებული რაზმები ჩემ მიერ მითითებული ანგარიშის მიხედვით.

§ 5

ტანისამოსის ფორმა — საყარაულო უხვეულმაზაროდ და უაირწინაღოდ.

§ 6

ნაწილთა მეთაურებმა გამოგზავნონ მეხაზენი ბერიას სახელობის მოედანზე ქალაქის კომენდანტის პოლკოვნიკ ა. რაზმაძის განკარგულებაში 1 მაისს 7 საათსა და 30 წუთისათვის.

§ 7

ბერიას სახელობის მოედანზე პარადში მონაწილეობის მისაღებად ნაწილები მივიდნენ 8 საათსა და 30 წუთიდან 9 საათამდე.

§ 8

პარადის დროს წესრიგის დაცვის საერთო ხელმძღვანელობას და პასუხისმგებლობას ვაკისრებ ქალაქ თბილისის კომენდანტს ამხ. რაზმაძეს და მუშურ-გლეხური მილიციის უფროსს, სახელმწიფო უშიშროების უფროს ლეიტენანტს ამხ. გუჯაბიძეს.

გარნიზონის უფროსი — დივიზიის მეთაური **ტოლბუხინი.**
გარნიზონის სამხედრო კომისარი პოლკის კომისარი **პოპკოვი.**
ქალაქის კომენდანტი პოლკოვნიკი **რაზმაძე.**

რინგზე

ორი დღის განმავლობაში თბილისის, ბათუმისა და სოხუმის 20 საუკეთესო მოკრივე ერთმანეთს ეჯიბრებოდა რესპუბლიკის პირველობაზე.

საქართველოს სს რესპუბლიკის ჩემპიონების წოდება მოიპოვეს თბილისელმა მოკრივეებმა: უმსუბუქეს წონაში—მესიანმა, უმსუბუქეს წონაში—ბერიევმა, ნახევრადმსუბუქ წონაში—სსრ კავშირის ჩემპიონმა ვართანოვმა, მსუბუქ წონაში—გორგასლიძემ, ნახევრადსაშუალო წონაში—სპორტის ოსტატმა კიტასოვმა, ნახევრადმძიმე წონაში—დვალმა და მძიმე წონაში—ნავასარდოვმა. (საქდესი).

პირველი მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით, ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალი და ავლაბრის ყოფილი არალეგალური სტამბა ღია იქნება ექსკურსიებისა და ინდივიდუალური დათვალიერებისათვის:

30/IV და 2/V—დილის 10-დან საღამოს 6 საათამდე
3, 4 და 5 მაისს — დღის 12-დან საღამოს 8 საათამდე
6 მაისს — დილის 10-დან საღამოს 6 საათამდე
1, 7, 8 და 9 მაისს მუზეუმი და სტამბა დაკეტილი იქნება.

დღეს თეატრებსა და კინოებში

თეატრებში: საოპერა — „ქეთო და კოტე", რუსთაველის სახელობის — „გრაფის ქვრივი", მარჯანიშვილის სახელობის—„გიორგი სააკაძე", მუსკომედია—„ესპანელი მღვდელი", მოზარდ მაყ. თეატრი — „კომბლე" (ღია წარმ.).

კინოებში: რუსთაველის სახ.—„მთის ნაკადი", ოქტომბერი — „სოროჩინის ბაზრობა", დამკვრელი — „მთის ნაკადი", კომკავშირელი — „გამანადგურებლები", სპარტაკი — „ჩემი უნივერსიტეტები", ლუქსემბურგის — „დიდი ცხოვრება", 26 კომ. სახ. — „ზარე", კომინტერნი—„სტანიცა დალნაია".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

ვანიჩკა და თალიკო ჭავჭანიძეები, არჩილ, კუკური, ბაგრატ ჭელიძეები იუწყებიან
ბუხუ ბარქაიას
გარდაცვალებას. 6110

ცოლისდები ანიჩკა, უენია, სიძეები დათიკო სტურუა, შალიკო ესებუა ბიძაშვილები ილია, არსენ, შურა, ნადია ლეჟავები შვილებით იუწყებიან სიძის
სპირიდონ შუბლაძის
გარდაცვალებას. 6131

ცოლი დუშა, შვილები ირა, ინნა, დები მარო, თამარ, ლენა, ლილი, მამიდა ნინო, ბებია, ბიძები გუგუნავები ცოლშვილით იუწყებიან
გალაკტიონ (შოთა) ირაკლის-ძე პარკაიას
გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველდღე 7 ს. პლეხანოვის, 131. 6134

ცოლი ეკატერინე, შვილები რუბენ, ლევან, რძლები მარო, თამარ, ძმა ალექსი, და ევა ზუბიაშვილები იუწყებიან
იოსებ (სოსო) მიხეილის-ძე ზუბიაშვილის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 7 ს. გამოსვენება 30/IV 4 ს. ბელინსკის, 59, ვერის სასაფლაოზე. 6144, 6143

დედა ვასასი, შვილები ლადო, შალვა ცოლშვილით, დისწული თინა იუწყებიან
მარიამ უთალიშვილი-ბერიშვილის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 29/IV 8 ს. გამოსვენება 30/IV 5 ს. კალინინის, 45. 6146

ცოლი მაშო, შვილები ელენე სხირტლაძე, ტასიკო ბლაგიძე, კატუშა, ტატიანა, ვასო, სანდრო, სიძე ალექსანდრე, რძლები სონია, და ოლია, მიშა, ადა თაყაიშვილები იუწყებიან, რომ 30/IV ქ. მახარაძეში დანიშნულია
ერასტო სხყვარელის-ძე არონიშიძის
პანაშვიდი. 6148

ნატო, ნინო, ავრაფინა, ყარამან, გიგო, ვასო, ადიკო აბდუშელიშვილები იუწყებიან რძლის
მარიამ ათანასეს-ასულ აბდუშელიშვილის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 29/IV 7 ს. ქალ. II (ყოფ. ალექსანდრეს) საავადმყოფოში. დაკრძალვა 30/IV 4 ს.

შვილები ვანო, ლიპა, დიმიტრი, რძლები ანია, გუგული, შვილიშვილები იუწყებიან
ეფროსინე ივანეს-ასულ კანდელაკის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. კულაშში 30 აპრილს. 6136

ცოლი ქრისტინე, შვილები: საშა, ნიკოლოზი, პეტრე, ელენე, თამარი იუწყებიან
დავით პეტრეს-ძე გოგოლაშვილის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 30/IV საღ. 7 ს. დასაფლავება 2/V 5 ს. ბნელი რიგი, № 10.

მე-21 საშუალო სკოლის პედპერსონალი თანაგრძნობას უცხადებს ცაცა მეგრელიშვილს მისი მამის
პავლე ივანეს-ძე მეგრელიშვილის
გარდაცვალების გამო.

სამედიცინო ინსტიტუტის პედ. ფაკულტეტის მე-5 კურსის სტუდენტები იუწყებიან ბავშვთა ქირურგიის კლინიკის უფროსი ასისტენტ მედიცინის მეცნიერების კანდიდატ
სერგო (ბუხუ) სიმონის-ძე ბარქაიას
გარდაცვალებას. 6116

მეუღლე ლიუცია, რძლები ლიზა, ნატა, ძმისწული ფედოსია იუწყებიან, რომ 30/IV 5 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია
მათე ნიკოლოზის-ძე გორდეზიანის
და მისი ძმისწულების
მარო და ოლღა გორდეზიანების
სამოქალაქო პანაშვიდი. 6139

სოსო, სანდრო, გენრიეტა, ვასო, ნიკო, სტეფანე ოჯახებით იუწყებიან, რომ 30/IV, 1 ს. კუკიის სასაფლაოზე გადახდილი იქნება
სიმონ და გრიშა გალუსტაშვილების
სამოქალაქო პანაშვიდი. 50

თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის დირექცია, პარტბიურო და ადგილკომი იუწყებიან ამავე ინსტიტუტის ასისტენტის ექიმ
სერგო სიმონის-ძე ბარქაიას
გარდაცვალებას. 6107

უშანგი და თამარ კაპანაძეები იუწყებიან, რომ 30/IV 3 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია პატარა
ლიანას
სამოქალაქო პანაშვიდი. 6137

ძმები გიგო, მალაქია ცოლშვილით, სიძეები ა. ომანიძე, ა. სულაქველიძე, ლ. ხარგელია, ვ. გძელიშვილი ცოლშვილით იუწყებიან, რომ 29/IV 5 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია
ვასილ ივანეს-ძე კერესელიძის
სამოქალაქო პანაშვიდი. 6138

შვილები შალვა ცოლშვილით, ნადია ქმარშვილით, სონია და თამარ იუწყებიან, რომ 30/IV 5 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია
ალათი ივანეს-ასულ ხაჭაპურიძის
სამოქალაქო პანაშვიდი. 6133

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მოხილვის 3—81—84, სასოფლო-სამეურნეოს—3—73—40, ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის 3—80—83, ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24, პ.-მგ. მორიგის და გამომუშავების—3—81—65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმუნებული ა—164